16

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2021 წლის_ _ ივლისი

ქ. წყალტუბო

### არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენრტი"-ს" მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — თენგიზ ნიჟარაძე

2022

# არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“

წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25

48-21-2-202107121705

N 48/21

12/07/2021

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

გიგზავნით ა(აიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ ანგარიშს 2020 წელსა და 2021 წლის I - II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

რევაზ მესხი

მმართველი

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ ა ნ გ ა რ ი შ ი
2020 წელსა და 2021 წლის I -IIკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2020 წელში ა(აიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ საქმიანობა მთლიანად დაექვემდებარა მსოფლიო პანდემიით გამოწვეულ პრობლემებს. შესაბამისად, მოგვიხდა წინასწარ შედგენილი სამოქმედო გეგმის შეცვლა და „covid-19“-ის გამო დაწესებულ სამთავრობო რეგულაციებზე მორგება. მთლიანად შეიზღუდა დახურულ სივრცეში მასობრივი ღონისძიებების მოწყობა და ცენტრი გადავიდა დისტანციურ, ზოგ შემთხვევაში კი წერტილოვანი შეზღუდული ფორმით მუშაობაზე.

პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების სრული დაცვით მოვახერხეთ რიგი ღონისძიებების განხორციელება. თავდაპირველად შევეხებით პანდემიამდე არსებულ პერიოდს, როცა კულტურის დაწესებულებები გეგმიურად წარმართავდნენ თავიანთ საქმიანობას. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ვიქტორინა-კონკურსი -„მეფე, პოეტი, სარდალი“; მთავარ ბიბლიოთეკაში - ლიტერატურული კონკურსი „ვინ უკეთ იცნობს ანა კალანდაძეს“; „შეხვედრა დიალოგი პირობით მსჯავრდებულებთან“; პოეზიის საღამო - „დედების ბაღში გადაპარულა ლექსი“; თოჯინური სპექტაკლი „წითელქუდა“. რამდენიმე აქტივობა ღია სივრცეში რეგულაციების დაცვით ჩატარდა პანდემიის დროსაც. ასეთი იყო: ქართული ბანკის დაარსების 125 წლის იუბილე; ნიკო ლორთქიფანიძისა და იასონ ლორთქიფანიძის დაბადების დღის აღსანიშნავი ღონისძიება.

პანდემიამდე გაუქმებული ბიბლიოთეკებიდან გამოიყო 3000-ზე მეტი წიგნი. დამუშავდა ბიბლიოთეკურად და მომზადდა სოფელ ხომულის ბიბლიოთეკის გასახსნელად. გასული წლის აპრილში სამთავრობო რეგულაციების გათვალისწინებითა და დაცვით დაიწყო წიგნობრივი ფონდების მოდერნიზება. ეს გახლავთ ფართო მასშტაბიანი სამუშაოები, რაც მოიცავს რამდენიმე ეტაპს. ეს არის ლიტერატურის ახალ კლასიფიკაციაზე გადაყვანა, რასაც თან ახლავს წიგნების ტექნიკური გადამუშავება შესაბამისი წესების მიხედვით, წიგნობრივი ფონდების გაწენდა შინაარსობრივად მოძველებული, პოლიტიკურად აქტუალობადაკარგული და ფიზიკურად დაზიანებული ლიტერატურისაგან მათზე სიების შედგენით, ზედმეტი და არაპროფილური ლიტერატურის გამოყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხანგრძლივი და შრომატევადი საქმე საბოლოოდ არ არის დასრულებული, საბიბლიოთეკო გაერთიანება მზადაა ელექტრონული კატალოგის წარმოებისთვის, რაც უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს წარმოადგენს საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე ტექნოლოგიური გადაიარაღების მხრივ. პარარელულრად ბიბლიოთეკებში არ შეწყვეტილა მკითხველთა მომსახურება. მათთან ურთიერთობისას უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამოყენებული იქნა ყველა დამცავი საშუალება.

2020 წელში მთავარი ბიბლიოთეკა მოემსახურა 460 მკითხველს. პანდემიის პირობებში მუდმივი მომხმარებელი იყო 77 ადამიანი. საბიბლიოთეკო გაერთიანება სულ მოემსახურა 1200 მკითხველს. ლიტერატურის გაცემა შეადგენს 6000-ს.

ამასთან ერთად, გრძელდებოდა მომსახურების ახალი ფორმების დანერგვისათვის ხელშემწყობი პროექტების განხორციელებაში ...

2024

საბიბლიოთეკო ასოციაციის უშუალო ხელშეწყობით მოხდა პოლონეთის პროექტში ჟონეთისა და დერჩის ბიბლიოთეკების ჩართვა, რის შედეგადაც ორივე ბიბლიოთეკები აღიჭურვა ძვირადღირებული კომპიუტერული ტექნიკით. რაც მთავარია სოფელ დერჩში, სადაც აქამდე არ არსებობდა ინტერნეტი, ამ პროექტის საშუალებით ეს პრობლემა დადებითად გადაწყდა. აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტის ხელმძღვანელმა დამატებით ამ ბიბლიოთეკას ავეჯიც გამოუყო. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ა(აიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" მონაწილეობა და გამარჯვება წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის საგრანტო კონკურსში, რამაც მრავალწლიანი ხელისშემშლელი პრობლემის მოგვარების უპრეცედენტო შესაძლებლობა მოგვცა და ა(აიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს" აქვს ახალი ტექნიკურად და ეკოლოგიურად გამართული მიკროავტობუსი, რომლის დახმარებით ვახორციელებთ მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმილი მნიშვნელოვანი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარებას და მოსახლეობის ადგილზე მომსახურებას. ამისათვის LAG-ის მიერ დაფინანსებული თანხა შეადგენს 101570 ლარს, ხოლო ჩვენი თანადაფინანსება - 27000 ლარს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას.

პანდემიამდე სამუზეუმო გაერთიანებას ჰყავდა 240 დამთვალიერებელი. ჩატარდა 12 ექსკურსია-საუბარი. გასული წლის აპრილის თვიდან მუზეუმებმა შეწყვიტეს ვიზიტორთა მიღება და წესების სრული დაცვით განაგრძეს სამუზეუმო საქმიანობა. კერძოდ, სამეცნიერო-საფონდო მუშაობის ხაზით მოეწყო საველე გასვლა სოფელ გუბისწყალში ე.წ „გორიკის" ზედაპირული შესწავლის მიზნით. მელოურის უნიკალური არქეოლოგიური მასალების მოძიებით მუზეუმის ძირითადი ფონდი გაიზარდა 100 ექსპონატით. ინტენსიურად გრძელდებოდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა; მომზადდა მასალები სოფლების: გვიშტიბის, გუბისწყალის, პირველი წყალტუბოს ისტორიის შესასწავლად. გამოსაცემად მომზადდა წიგნი წყალტუბოს ზონის ეკლესია-მონასტრები. სამეცნიერო საექსპოზიციო მიზნით მოეწყო ონლაინ გამოფენები სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებზე.

კოვიდის რეგულაციების დაცვით შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა სახალხო თეატრი. დაიდგა ახალი დრამატული სპექტაკლი „საპოვნელა", რომლითაც თეატრმა მონაწილეობა მიიღო იმერეთის თეატრალურ ფესტივალში და რამდენიმე ნომინაციაში მიაღწია წარმატებას. ასევე წარმატებული იყო თოჯინების თეატრის მონაწილეობა კონკურსში „ნარინჯისფერი ქობულეთი". სულ კულტურულ ღონისძიებებზე კულტურის ცენტრის მიერ დახარჯულია 10703 ლარი.

პანდემიის მიუხედავად 2020 წელს მოვახერხეთ გაგვერემონტებინა სოფელ ცხუნკურის ამორტიზირებული ბიბლიოთეკა და ყოფილი საქალაქო ბიბლიოთეკა, სადაც მალე უკეთეს პირობებში დაიდებს ბინას ქალაქის საბავშვო ბიბლიოთეკა. მოწესრიგდა ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის სველი წერტილები და მაღლაკის კულტურის სახლის სარეპეტიციო დარბაზი. მსხვილი კულტურის ობიექტებისათვის შეძენილი იქნა დეზობარიერები, სადეზინფექციო ხსნარები, დისტანციური თერმომეტრები. სარემონტო სამუშაოებზე დახარჯული თანხა შეადგენს 4985 ლარს. სულ კულტურის ცენტრის 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 572153 ლარს, ფაქტიური შესრულება - 548772 ლარს. მათ შორის სუბსიდია - 566300 ლარი, ფაქტიური - 546973

2025

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა“ 2021 წლის I - II კვარტალშიც, წინა წლის მსგავსად, თავისი საქმიანობა პანდემიურ რეჟიმში წარმართა.

საბიბლიოთეკო გაერთიანება ინტენსიურად აგრძელებს წიგნობრივი ფონდების მოდერნიზების ფართომასშტაბიან პროცესს, რაც მოიცავს:

1.ფილოლოგიური ლიტერატურის ახალ კლასიფიკაციაზე გადაყვანას, რასაც თან ახლავს წიგნების ტექნიკური დამუშავება( ავთრატის და პასპორტის გამოცვლა, ძველი ნომრებისა და ინდექსების გადაფარვა საწეპავი მასალით);

2. ფონდების გაწმენდა შინაარსობრივად მოძველებული, პოლიტიკურად აქტუალობადაკარგული და ფიზიკურად დაზიანებული ლიტერატურისაგან, მათზე სიების შედგენით;

3. ზედმეტი და არაპროფილური ლიტერატურის გამოყოფა და გარიცხვა ფონდიდან. პარალელურად ბიბლიოთეკა მოემსახურა 2600-ზე მეტ მკითხველს, გაიცა 15600 ცალი წიგნი;

სამუზეუმო გაერთიანების ფონდი საანგარიშო პერიოდში 50 ექსპონატით გაიზარდა; მუზეუმებში დაცული მასალებით ისარგებლა 62-მა კაცმა; შესაბამისად მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა მუზეუმის შრომათა XI კრებულისათვის მოამზადეს 8 ნაშრომი. წყალტუბოს სამუზეუმო გაერთიანება აქტიურად ჩაება მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულში „მუზეუმების მომავალი, აღდგენა და გარდასახვა“, ამასთან დაკავშირებით, მუზეუმის მესვეურებმა მოაწყვეს მრავალფეროვანი გამოფენები. ასევე საზოგადოებას მიაწოდეს ცნობები საინტერესო ამბებისა და ადამიანების შესახებ, რომლებიც იღვწოდნენ და იღვწიან წყალტუბოს საკეთილდღეოდ. გამოცხადდა „ღია კარის დღე“, რომელიც გულისხმობდა დამთვალიერებელთათვის უფასო ექსკურსიას. კვირეულის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა საინტერესი ნაშრომები: „იმერელი გლეხის საცხოვრისი მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით“, „მწვანე მუზეუმი ღია ცის ქვეშ“, „ქართული თექა და მისი წყალტუბოელი ოსტატი“, „ნიკო ლორთქიფანიძის უცნობი წერილები“ და სხვა. კვირეულის ბოლოს ნაჩვენები იქნა ოთარ იოსელიანის ფილმი :გიორგობისთვე“. კვირეული ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა რეგულაციების დაცვით და მასში მონაწილეობდნენ საჯარო სკოლების მოსწავლეები.

საანგარიშო პერიოდში მუზეუმი დაათვალიერა 1068 კაცმა, ჩატარდა 152 ექსკურსია-საუბარი.

საანგარიშო პერიოდში კულტურის ცენტრმა შეძლებისდაგვარად მოახერხა რამდენიმე ღონისძიების ჩატარება. პატივი მივაგეთ 9 აპრილსა და 9 მაისს დაღუპულთა ხსოვნას; აღვნიშნეთ სასიქადულო მწერლის ოტია იოსელიანის დაბადების თარიღი; სარვამარტოდ ჩატარდა საღამო-შეხვედრა მოეწყო კულტურის ცენტრში დასაქმებულ ქალბატონებთან;

მიმდინარე წელს წარმატებული იყო სახალხო თეატრის მუშაობა. ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით დაიდგა დრამატული სპექტაკლი „ბადიში“ (რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილი), რომელიც წარდგენილი იქნა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „თეატრალური იმერეთი“ და აღიარებული იქნა 2 ნომინაციაში - „ქალისა და მამაკაცის როლების საუკეთესო შემსრულებელი“.

ფოლკლორული ანსამბლი „ნადური“ ივნისის თვეში სპეციალური მიწვევით ერთი კვირით იმყოფებოდა მოძმე უკრაინაში, სადაც დიდი აღიარება და ფესტივალის უმაღლესი ჯილდო „გრან-პრი“ მოიპოვა.

განვლილ პერიოდში კულტურის ცენტრმა დანერგა მრავალფეროვანი ინოვაციური აქტივობები. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში ადგილზე მისვლით თეატრალური, ფოლკლორული, საესტრადო და სხვა ღონისძიებების ჩატარება, [illegible]

2026

ამ ფორმით უკვე მოვახერხეთ მუნიციპალიტეტის 8 სოფლის: გუმბრის, ქვილიშორის, მეორე უბნის, გუბისწყლის, მაღლაკის, მესხეთის, ოფშკვითისა და საყულიის მოსახლეობის მომსახურება. ასაკობრივი ინტერესების გათვალისწინებით მაყურებელს წარვუდგინეთ დრამატული და თოჯინური სპექტაკლები. აღნიშნული აქტივობა მომავალშიც გაგრძელდება, რაშიც განსაკუთრებულ დახმარებას გვიწევს მიკროავტობუსი, რომელიც წყალტუბოს განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის პირობებში შევიძინეთ, ამისათვის დიდ მადლობას ვუხდით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, რომელმაც უზრუნველყო საგრანტო პირობებით გათვალისწინებული თანადაფინანსება 27000 ლარის ოდენობით.

ა(ა)იპ „:წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ბიუჯეტის ხარჯები 2021 წლის პირველ მეორე კვარტალში გეგმით განსაზღვრული იყო 400925 ლარით, მათ შორის სუბსიდია -359925 ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 465869 ლარი, მათ შორის სუბსიდია -318925 ლაარი, საკუთარი სახსრების - 106194 ლარი.

აიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
კულტურის ცენტრის“მმართველი რევაზ მესხი

2027

16

# არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“

წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25

48-21-2-202107121705 N 48/21

12/07/2021

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

გიგზავნით ა(აიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ ანგარიშს 2020 წელსა და 2021 წლის I - II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

რევაზ მესხი

მმართველი

2014

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" ა ნ გ ა რ ი შ ი
2020 წელსა და 2021 წლის I -IIკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2020 წელში ა(აიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" საქმიანობა მთლიანად დაექვემდებარა მსოფლიო პანდემიით გამოწვეულ პრობლემებს. შესაბამისად, მოგვიხდა წინასწარ შედგენილი სამოქმედო გეგმის შეცვლა და „covid-19"-ის გამო დაწესებულ სამთავრობო რეგულაციებზე მორგება. მთლიანად შეიზღუდა დახურულ სივრცეში მასობრივი ღონისძიებების მოწყობა და ცენტრი გადავიდა დისტანციურ, ზოგ შემთხვევაში კი წერტილოვანი შეზღუდული ფორმით მუშაობაზე.

პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების სრული დაცვით მოვახერხეთ რიგი ღონისძიებების განხორციელება. თავდაპირველად შევეხებით პანდემიამდე არსებულ პერიოდს, როცა კულტურის დაწესებულებები გეგმიურად წარმართავდნენ თავიანთ საქმიანობას. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ვიქტორინა-კონკურსი -„მეფე, პოეტი, სარდალი"; მთავარ ბიბლიოთეკაში - ლიტერატურული კონკურსი „ვინ უკეთ იცნობს ანა კალანდაძეს"; „შეხვედრა დიალოგი პირობით მსჯავრდებულებთან"; პოეზიის საღამო - „დედების ბაღში გადაპარულა ლექსი"; თოჯინური სპექტაკლი „წითელქუდა". რამდენიმე აქტივობა ღია სივრცეში რეგულაციების დაცვით ჩატარდა პანდემიის დროსაც. ასეთი იყო: ქართული ბანკის დაარსების 125 წლის იუბილე; ნიკო ლორთქიფანიძისა და იასონ ლორთქიფანიძის დაბადების დღის აღსანიშნავი ღონისძიება.

პანდემიამდე გაუქმებული ბიბლიოთეკებიდან გამოიყო 3000-ზე მეტი წიგნი. დამუშავდა ბიბლიოთეკურად და მომზადდა სოფელ ხომულის ბიბლიოთეკის გასახსნელად. გასული წლის აპრილში სამთავრობო რეგულაციების გათვალისწინებითა და დაცვით დაიწყო წიგნობრივი ფონდების მოდერნიზება. ეს გახლავთ ფართო მასშტაბიანი სამუშაოები, რაც მოიცავს რამდენიმე ეტაპს. ეს არის ლიტერატურის ახალ კლასიფიკაციაზე გადაყვანა, რასაც თან ახლავს წიგნების ტექნიკური გადამუშავება შესაბამისი წესების მიხედვით, წიგნობრივი ფონდების გაწენდა შინაარსობრივად მოძველებული, პოლიტიკურად აქტუალობადაკარგული და ფიზიკურად დაზიანებული ლიტერატურისაგან მათზე სიების შედგენით, ზედმეტი და არაპროფილური ლიტერატურის გამოყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხანგრძლივი და შრომატევადი საქმე საბოლოოდ არ არის დასრულებული, საბიბლიოთეკო გაერთიანება მზადაა ელექტრონული კატალოგის წარმოებისთვის, რაც უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს წარმოადგენს საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე ტექნოლოგიური გადაიარაღების მხრივ. პარალელურად ბიბლიოთეკებში არ შეწყვეტილა მკითხველთა მომსახურება. მათთან ურთიერთობისას უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამოყენებული იქნა ყველა დამცავი საშუალება.

2020 წელში მთავარი ბიბლიოთეკა მოემსახურა 460 მკითხველს. პანდემიის პირობებში მუდმივი მომხმარებელი იყო 77 ადამიანი. საბიბლიოთეკო გაერთიანება სულ მოემსახურა 1200 მკითხველს. ლიტერატურის გაცემა შეადგენს 6000-ს.

ამასთან ერთად, გრძელდებოდა მომსახურების ახალი ფორმების დანერგვისათვის ხელშემწყობი პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა. საქართველოს

საბიბლიოთეკო ასოციაციის უშუალო ხელშეწყობით მოხდა პოლონეთის პროექტში ქუთეთისა და დერჩის ბიბლიოთეკების ჩართვა, რის შედეგადაც ორივე ბიბლიოთეკები აღიჭურვა ძვირადღირებული კომპიუტერული ტექნიკით. რაც მთავარია სოფელ დერჩში, სადაც აქამდე არ არსებობდა ინტერნეტი, ამ პროექტის საშუალებით ეს პრობლემა დადებითად გადაწყდა. აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტის ხელმძღვანელმა დამატებით ამ ბიბლიოთეკას ავეჯიც გამოუყო. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ა(აიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" მონაწილეობა და გამარჯვება წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის საგრანტო კონკურსში, რამაც მრავალწლიანი ხელისშემშლელი პრობლემის მოგვარების უპრეცედენტო შესაძლებლობა მოგვცა და ა(აიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს" აქვს ახალი ტექნიკურად და ეკოლოგიურად გამართული მიკროავტობუსი, რომლის დახმარებით ვახორციელებთ მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმილი მნიშვნელოვანი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარებას და მოსახლეობის ადგილზე მომსახურებას. ამისათვის LAG-ის მიერ დაფინანსებული თანხა შეადგენს 101570 ლარს, ხოლო ჩვენი თანადაფინანსება - 27000 ლარს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას.

პანდემიამდე სამუზეუმო გაერთიანებას ჰყავდა 240 დამთვალიერებელი. ჩატარდა 12 ექსკურსია-საუბარი. გასული წლის აპრილის თვიდან მუზეუმებმა შეწყვიტეს ვიზიტორთა მიღება და წესების სრული დაცვით განაგრძეს სამუზეუმო საქმიანობა. კერძოდ, სამეცნიერო-საფონდო მუშაობის ხაზით მოეწყო საველე გასვლა სოფელ გუბისწყალში ე.წ „გორიკის" ზედაპირული შესწავლის მიზნით. მელოურის უნიკალური არქეოლოგიური მასალების მოძიებით მუზეუმის ძირითადი ფონდი გაიზარდა 100 ექსპონატით. ინტენსიურად გრძელდებოდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა; მომზადდა მასალები სოფლების: გვიშტიბის, გუბისწყალის, პირველი წყალტუბოს ისტორიის შესასწავლად. გამოსაცემად მომზადდა წიგნი წყალტუბოს ზონის ეკლესია-მონასტრები. სამეცნიერო საექსპოზიციო მიზნით მოეწყო ონლაინ გამოფენები სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებზე.

კოვიდის რეგულაციების დაცვით შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა სახალხო თეატრი. დაიდგა ახალი დრამატული სპექტაკლი „საპოვნელა", რომლითაც თეატრმა მონაწილეობა მიიღო იმერეთის თეატრალურ ფესტივალში და რამდენიმე ნომინაციაში მიაღწია წარმატებას. ასევე წარმატებული იყო თოჯინების თეატრის მონაწილეობა კონკურსში „ნარინჯისფერი ქობულეთი". სულ კულტურულ ღონისძიებებზე კულტურის ცენტრის მიერ დახარჯულია 10703 ლარი.

პანდემიის მიუხედავად 2020 წელს მოვახერხეთ გაგვერემონტებინა სოფელ ცხუნკურის ამორტიზირებული ბიბლიოთეკა და ყოფილი საქალაქო ბიბლიოთეკა, სადაც მალე უკეთეს პირობებში დაიდებს ბინას ქალაქის საბავშვო ბიბლიოთეკა. მოწესრიგდა ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის სველი წერტილები და მაღლაკის კულტურის სახლის სარეპეტიციო დარბაზი. მსხვილი კულტურის ობიექტებისათვის შეძენილი იქნა დეზობარიერები, სადეზინფექციო ხსნარები, დისტანციური თერმომეტრები. სარემონტო სამუშაოებზე დახარჯული თანხა შეადგენს 4985 ლარს. სულ კულტურის ცენტრის 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 572153 ლარს, ფაქტიური შესრულება - 548772 ლარს. მათ შორის სუბსიდია - 566300 ლარი, ფაქტიური - 546973 ლარი. საკუთარი სახსრებით მიღებული თანხა - 5853 ლარი, ფაქტიური - 1799 ლარი.

2016

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა“ 2021 წლის I - II კვარტალშიც, წინა წლის მსგავსად, თავისი საქმიანობა პანდემიურ რეჟიმში წარმართა.

საბიბლიოთეკო გაერთიანება ინტენსიურად აგრძელებს წიგნობრივი ფონდების მოდერნიზების ფართომასშტაბიან პროცესს, რაც მოიცავს:

1.ფილოლოგიური ლიტერატურის ახალ კლასიფიკაციაზე გადაყვანას, რასაც თან ახლავს წიგნების ტექნიკური დამუშავება( ავთრატის და პასპორტის გამოცვლა, ძველი ნომრებისა და ინდექსების გადაფარვა საწეპავი მასალით);

2. ფონდების გაწმენდა შინაარსობრივად მოძველებული, პოლიტიკურად აქტუალობადაკარგული და ფიზიკურად დაზიანებული ლიტერატურისაგან, მათზე სიების შედგენით;

3. ზედმეტი და არაპროფილური ლიტერატურის გამოყოფა და გარიცხვა ფონდიდან.

პარალელურად ბიბლიოთეკა მოემსახურა 2600-ზე მეტ მკითხველს, გაიცა 15600 ცალი წიგნი;

სამუზეუმო გაერთიანების ფონდი საანგარიშო პერიოდში 50 ექსპონატით გაიზარდა; მუზეუმებში დაცული მასალებით ისარგებლა 62-მა კაცმა; შესაბამისად მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა მუზეუმის შრომათა XI კრებულისათვის მოამზადეს 8 ნაშრომი. წყალტუბოს სამუზეუმო გაერთიანება აქტიურად ჩაება მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულში „მუზეუმების მომავალი, აღდგენა და გარდასახვა“. ამასთან დაკავშირებით, მუზეუმის მესვეურებმა მოაწყვეს მრავალფეროვანი გამოფენები, ასევე საზოგადოებას მიაწოდეს ცნობები საინტერესო ამბებისა და ადამიანების შესახებ, რომლებიც იღვწოდნენ და იღვწიან წყალტუბოს საკეთილდღეოდ. გამოცხადდა „ღია კარის დღე“, რომელიც გულისხმობდა დამთვალიერებელთათვის უფასო ექსკურსიას. კვირეულის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა საინტერესო ნაშრომები: „იმერელი გლეხის საცხოვრისი მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით“, „მწვანე მუზეუმი ღია ცის ქვეშ“, „ქართული თექა და მისი წყალტუბოელი ოსტატი“, „ნიკო ლორთქიფანიძის უცნობი წერილები“ და სხვა. კვირეულის ბოლოს ნაჩვენები იქნა ოთარ იოსელიანის ფილმი :გიორგობისთვე“. კვირეულო ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა რეგულაციების დაცვით და მასში მონაწილეობდნენ საჯარო სკოლების მოსწავლეები.

საანგარიშო პერიოდში მუზეუმი დაათვალიერა 1068 კაცმა, ჩატარდა 152 ექსკურსია-საუბარი.

საანგარიშო პერიოდში კულტურის ცენტრმა შეძლებისდაგვარად მოახერხა რამდენიმე ღონისძიების ჩატარება. პატივი მივაგეთ 9 აპრილსა და 9 მაისს დაღუპულთა ხსოვნას, აღვნიშნეთ სასიქადულო მწერლის ოტია იოსელიანის დაბადების თარიღი; სარვამარტო ჩატარდა საღამო-შეხვედრა მოეწყო კულტურის ცენტრში დასაქმებულ ქალბატონებთან;

მიმდინარე წელს წარმატებული იყო სახალხო თეატრის მუშაობა. ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით დაიდგა დრამატული სპექტაკლი „ბადიში“ (რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილი), რომელიც წარდგენილი იქნა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „თეატრალური იმერეთი“ და აღიარებული იქნა 2 ნომინაციაში - „ქალისა და მამაკაცის როლების საუკეთესო შემსრულებელი“.

ფოლკლორული ანსამბლი „ნადური“ ივნისის თვეში სპეციალური მიწვევით ერთი კვირით იმყოფებოდა მოძმე უკრაინაში, სადაც დიდი აღიარება და ფესტივალის უმაღლესი ჯილდო „გრან-პრი“ მოიპოვა.

განვლილ პერიოდში კულტურის ცენტრმა დანერგა მრავალფეროვანი ინოვაციური აქტივობები. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში ადგილზე მისვლით თეატრალური, ფოლკლორული, საესტრადო და სხვა ღონისძიებების ჩატარება, რაც კოვიდპანდემიის რეჟიმში მყოფ მოსახლეობას სოფლიდან გაუსვლელად დროისა და ფინანსების დაზოგვით კულტურულ ღონისძიებებზე წვდომის მეტ შესაძლებლობას უქმნის.

2017

ამ ფორმით უკვე მოვახერხეთ მუნიციპალიტეტის 8 სოფლის: გუმბრის, ქვილიშორის, მეორე უბნის, გუბისწყლის, მაღლაკის, მესხეთის, ოფშკვითისა და საყულიის მოსახლეობის მომსახურება. ასაკობრივი ინტერესების გათვალისწინებით მაყურებელს წარვუდგინეთ დრამატული და თოჯინური სპექტაკლები. აღნიშნული აქტივობა მომავალშიც გაგრძელდება, რაშიც განსაკუთრებულ დახმარებას გვიწევს მიკროავტობუსი, რომელიც წყალტუბოს განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის პირობებში შევიძინეთ, ამისათვის დიდ მადლობას ვუხდით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, რომელმაც უზრუნველყო საგრანტო პირობებით გათვალისწინებული თანადაფინანსება 27000 ლარის ოდენობით.

ა(ა)იპ „:წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ბიუჯეტის ხარჯები 2021 წლის პირველ მეორე კვარტალში გეგმით განსაზღვრული იყო 400925 ლარით, მათ შორის სუბსიდია -359925 ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 465869 ლარი, მათ შორის სუბსიდია -318925 ლაარი, საკუთარი სახსრების - 106194 ლარი.

აიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“მმართველი რევაზ მესხი

2018

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენრტი“-ს“ მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

2019

წერილის ნომერი:**49-49212096**
თარიღი: **28/07/2021**

**ადრესატი:**

თენგიზ ნიჟარაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავნჯდომარეს
ბატონ თენგიზ ნიჟარაძეს

ბატონო თენგიზ,

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" მმართველის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე მოვამზადე განკარგულების პროექტი - ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ", რომელსაც წარმოგიდგენთ კომისიის სხდომაზე განხილვის მიზნით.

გელა თათარაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

# დ ა ს კ ვ ნ ა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ 2021 წლის 30 ივლისის კომისიის სხდომაზე განიხილა ანგარიში - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში, რომელზედაც კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
თენგიზ ნიჟარაძე

2021